სარჩევი

რა არის ახალი 3

Echo - მენეჯერი აპლიკაცია 3

ზოგადი აღწერა 3

ავტორიზაცია: ქლაუდ მომხმარებლებისათვის VS One-Premise ტიპის ბაზის მომხმარებლებისათვის 3

პერიოდი 4

მენიუ 5

დეშბორდი 6

სამუშაო სივრცე 6

გაყიდვებისა და ფინანსების მოდული 7

გადასახადები 7

მეტრიკები 7
ინდექს ბარათები 8
ლაინ ჩარტი 8
ბარ ჩარტი 8
ფაი ჩარტი 9
ჰითმეფ ჩარტი 9
Insights-ბარათების ანალიზი 10
პროგნოზირება 11
მიზნობრივი KPI 11
მიზნობრივი KPI-ის დადგენის ბარათები 12
მიზანთან შედარება და შესაბამისი ჩარტები 12
პროგრესს ბარ ჩარტი 13
Radial Gauge ჩარტი 13
გასწორებული შეცდომები 13
სხვა მოდიფიკაციები 14

ბალანსის რელიზი_1.3.6.2

23.01.2024

რა არის ახალი

Echo - მენეჯერი აპლიკაცია

ზოგადი აღწერა

ბალანსის გუნდმა შეიმუშავა მობილური აპლიკაცია „Echo” MSME-ის ბიზნესის მფლობელებისთვის და ფინანსური მენეჯერებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფს წვდომას რეალურ დროში ფინანსურ და საოპერაციო ანგარიშებსა და ანალიზის ინსტრუმენტებზე.
მობილური აპლიკაცია მიზნად ისახავს გააძლიეროს გადაწყვეტილების მიღების პროცესები მენეჯერებისთვის რეალურ დროში მარტივი წვდომის მინიჭებით, ფინანსური და ოპერატიული ანგარიშგებებზე, პროგნოზირებისა და ანალიზის ხელსაწყოებზე, სქემებზე, ჩარტებსა და სხვა შესაბამისი ინფორმაციაზე.

ავტორიზაცია: ქლაუდ მომხმარებლებისათვის VS One-Premise ტიპის ბაზის მომხმარებლებისათვის

იმისათვის რომ მომხმარებელს საშუალება ჰქონდეს გამოიყენოს აპლიკაციის შესაძლებლობები აუცილებელი მას პირველ რიგში შეძენილი ჰქონდეს ლიცენზიის ტიპი Enterprise Plus და სასურველ მომხმარებელზე მითითებული ჰქონდეს ტიპი „Enterprise +”



მას შემდეგ რაც მომხმარებელს მიეთითება შესაბამისი ტიპი, ბალანსის On-premise ტიპის ბაზებისთვის საჭირო იქნება სინქრონიზაციის აწყობა. ამისათვის მონაცემების სინქრონიზაციის აწყობებში დაემატა ინტერნეტში განთავსებული ბაზის მისამართის ველი, რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების ღილაკები. ინტეგრაციისთვის აუცილებელია ინფორმაციული ბაზის პუბლიკაცია ვებ-სერვერზე. პუბლიკაციის მისამართი კი ჩაიწერება აღნიშნულ ველში. ბაზის პუბლიკაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს მხარდაჭერის კონსულტანტს.





რეგისტრაცია ღილაკზე დაჭერით ბალანსის სისტემაში დარეგისტრირდება ბაზაში არსებული Enterprise Plus-ის ტიპის მომხმარებლები. ხოლო რეგისტრაციის გაუქმებით კი წაიშლება.

ქლაუდის ტიპის ბაზებში აღნიშნული რეგისტრაცია არ არის საჭირო და არც შესაბამისი ღილაკები ჩანს ინტერფეისში.

ქლაუდის მომხმარებლებისთვის საკმარისია მხოლოდ მომხმარებელზე შესაბამისი ტიპის გაწერა და მობილურ აპლიკაციაში მომხმარებლის და პაროლის შეყვანა რის შემდეგაც იგი შეძლებს მის გამოყენებას.

მას შემდეგ რაც მომხმარებელი გაივლის ავტორიზაციას, მას გამოუჩნდება ყველა ის ბაზა რომელზეც მას აქვს წვდომა.

პერიოდი

აპლიკაციაში შესაძლებელია შემდეგი პერიოდის ფილტრების გამოყენება

- დღეს
- გუშინ
- მიმდინარე კვირა
- წინა კვირა
- მიმდინარე თვე
- წინა თვე
- უკანასკნელი სამი თვე
- მიმდინარე კვარტალი
- წინა კვარტალი
- მიმდინარე წელი
- წინა წელი
-

მენიუ



აპლიკაციის მენიუ მოიცავს სამ ძირითად ელემენტს:

- დეშბორდი
- სამუშაო სივრცე
- მიზნობრივი KPI

მენიუში ასევე განთავსებულია აქტიური მომხმარებელი და შერჩეული ბაზა, რომლის მონაცემების დათვალიერებაც მიმდინარეობს. ბაზის სახელზე დაჭერით მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს გავიდეს ბაზების შერჩევის გვერდზე და გადართოს სასურველ ბაზაზე.

დეშბორდი

დეშბორდზე მომხმარებლებს საშუალება აქვთ იხილონ მიმდინარე კურსები სასურველი ვალუტებისათვის, და სასურველი პერიოდისთვის შემდეგი მონაცემები:

- ფული ბანკში
- ფული ბანკში-ვალუტების ჭრილში
- ნაღდი ფული სალაროში
- ნაღდი ფული სალაროში- ვალუტების ჭრილში
- საოპერაციო შემოსავლები
- არასაოპერაციო შემოსავლები
- საოპერაციო ხარჯები
- არასაოპერაციო ხარჯები
- ტოპ 5 დებიტორი
- ტოპ 5 კრედიტორი

სამუშაო სივრცე

სამუშაო სივრცეში განთავსებულია სამი მოდული:

- გაყიდვები
- ფინანსები
- გადასახადები

ანგარიშგებები დაყოფილია შინაარსობრიობის მიხედვით.

გაყიდვებისა და ფინანსების მოდული





გაყიდვებისა და ფინანსების მოდულში განთავსებულია ორი ტაბი:

- რჩეულები - სადაც მოთავსებულია დაფავორიტებული ელემენტები თითოეული დეტალური ანგარიშგებების გვერდებიდან
- ყველა - ანგარიშგების სიის ტაბი, რომლიდანაც მომხმარებელი შეძლებს მისთვის სასურველ დეტალურ ანგარიშგებებზე გასვლას.

ყველა ანგარიშგების, ჩარტის ან ტრენდის ბარათს აქვს დაფავორიტების ღილაკი რომელიც გამოიტანს რჩეულების სივრცეში შესაბამის ბარათს.





იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს არ აქვს დაფავორიტებული არცერთი ელემენტი გამოდის შემდეგი შეტყობინება „რჩეულები ცარიელია“.

გადასახადები

გადასახადების მოდული მოიცავს მხოლოდ ოთხ რიცხობრივი ბარათის ტიპის ელემენტს შესაბამისად მას არ აქვს ფავორიტების და ყველა ანგარიშგების გვერდი, შესაბამისად მოდულზე დაჭერით მომხმარებელი ხსნის გვერდს სადაც განთავსებულია შემდეგი რიცხობრივი ბარათები:

- საშემოსავლო გადასახადი
- დარიცხული დღგ
- ჩასათვლელი დღგ
- მოგების გადასახადი

გვერდს გააჩნია პერიოდის ფილტრი რომელიც მოქმედებს თითოეულ ბარათზე

მეტრიკები

აპლიკაციაში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ვიზუალიზაციის ელემენტები:

- ინდექს ბარათები
- ლაინ ჩარტი
- ბარ ჩარტი
- ფაი ჩარტი
- ჰითმეფ ჩარტი
- პროგრეს ბარ ჩარტი
- Radial Gauge ჩარტი

ინდექს ბარათები

აპლიკაციაში შეხვდებით ორი ტიპის ინდექს ბარათს: ერთმნიშვნელობის და მრავალმნიშვნელობის ინდექს ბარათებს. ინდექს ბარათი რომელიც გვიჩვენებს, მონაცემებს სასურველი პერიოდისთვის და მის შედარებას პარალელურ პერიოდთან, ასევე პროცენტულ სხვაობას შესადარის პერიოდთან

ინდექსების სიის ბარათი კი გვიჩვენებს,მონაცემების სიას სასურველი პერიოდისთვის სალაროში ფულის ნაშთს ვალუტების ჭრილში და მის შედარებას პარალელურ პერიოდთან, ასევე პროცენტულ სხვაობას შესადარის პერიოდთან

ლაინ ჩარტი



ლაინ ჩარტის ბარათი გვიჩვენებს სასურველი პერიოდის შესაბამის წლის თვეების ჭრილში სალაროში ფულის ნაშთს. X-ღერძზე გამოხატულია შერჩეული პერიოდის შესაბამისი წლის თვეები, ხოლო Y1 ღერძზე გამოსახულია იმ წლის თვეების მნიშვნელობები რომელშიც ხვდება დაფილტრული პერიოდი, Y2 ღერძზე კი გამოსახულია მნიშვნელობები იმ პარალელური წლის თვეების ჭრილში, რომელშიც ხვდება დაფილტრული პერიოდი

ბარ ჩარტი

აპლიკაციაში შეხვდებით ორი ტიპის ბარ ჩარტს: ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ბარ ჩარტებს.

ბარ ჩარტის ბარათი რომელიც გვიჩვენებს სასურველი პერიოდის შესაბამის წლის თვეების ჭრილში სალაროში ფულის ნაშთს. X-ღერძზე გამოხატულია შერჩეული პერიოდის შესაბამისი წლის თვეები, ხოლო Y1 ღერძზე გამოსახულია იმ წლის თვეების მნიშვნელობები რომელშიც ხვდება დაფილტრული პერიოდი, Y2 ღერძზე კი გამოსახულია მნიშვნელობები იმ პარალელური წლის თვეების ჭრილში, რომელშიც ხვდება დაფილტრული პერიოდი

ფაი ჩარტი





ფაი ჩარტის ბარათი, რომელიც გვიჩვენებს, სასურველი პერიოდის ჭრილში ჯამურ მონაცემებში ტოპ 10 ელემენტის წილს. ფაი ჩარტს აქვს გადამრთველი რომელსაც ჩარტზე გამოაქვს ტოპ 10 ელემენტის გარდა დარჩენილი ელემენტების წილს ჯამურ ოდენობაში



ჰითმეფ ჩარტი

ჰითმეფი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ადვილად დააფიქსირონ სეზონურობა, რაც მაღალია შედეგი მით უფრო წითელია მონაცემის შესაბამისი უჯრა, ხოლო რაც მცირეა შედეგი მით უფრო ლურჯია შედეგი

Insights-ბარათების ანალიზი



ლაინ ჩარტისა და ბარ ჩარტის ტიპის ბარათებს აქვს შესაძლებლობა გაანალიზოს მონაცემები,რის საფუძველზეც არის დაფორმირებული და გამოვიტანოთ შემდეგი დამატებითი ანალიტიკური ინფორმაცია ტექსტურად:

- მიმდინარე მაჩვენებელი
- მაქსიმალური მაჩვენებელი პერიოდში და შესაბამისი საკორესპონდენტო x პერიოდი`
- მინიმალური მაჩვენებელი პერიოდში და შესაბამისი საკორესპონდენტო x პერიოდი
- როცა ხდება Y1=Y2, თანაკვეთა
- საშუალო მაჩვენებელი პერიოდის განმავლობაში
- ზრდის ტემპი (growth rate=(final value-initial value)/initial value*100%)(ზრდა ან შემცირება
- წრფივი რეგრესიის მოდელით პროგნოზირებული შემდეგი 3 წერტილი
- მოძრავი საშუალოს მეთოდით გამოანგარიშებული შემდეგი 3 წერტილი

პროგნოზირება



ლაინ ჩარტის ტიპის ბარათებს აქვს შესაძლებლობა, აქვს შესაძლებლობა გაანალიზოს მონაცემები,რის საფუძველზეც არის დაფორმირებული და რამოდენიმე პროგნოზირების მეთოდების საფუძველზე დაადგინოს მონაცემების ტრენდულობა და განსაზღვროს მომავალი წერტილები.



პროგნოზირების მოდელები:

- წრფივი
- ექსპონენციალური
- ლოგარითმული
- პოლინომიალური
- მოძრავი საშუალო

მიზნობრივი KPI



მიზნობრივი KPI-ის ფუნქციონალი მომხმარებელს საშუალებას აძლევს დაადგინოს საკუთარი მიზნები და ნახოს მათი შედარება რეალურ მონაცემებთან.

ფუნქციონალი შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. მიზნების დადგენის ღილაკი რომელსაც გავყავართ ახალ ფეიჯზე სადაც შესაძლებელი იქნება მიზნების დადგენა

2. მიზნობრივი KPI-ის დადგენის ფუნქციონალში განთავსებულია ყველა KPI-ის ბარათი

3. არის ორი ტიპის KPI: ციფრობრივი, (ძირითდად თანხა/ რაოდენობა), პროცენტული (Ratio) რომლის მიზანს გადაცილება დადებითად აისახება კომპანიაზე და პროცენტული (Ratio) რომლის მიზანს გადაცილება უარყოფითად აისახება კომპანიაზე



მიზნობრივი KPI-ის დადგენის ბარათები

მიზნის დადგენის ბარათზე განთავსებულია ინფორმაცია KPI-ს შესახებ, თუ რას გვიჩვენებს შერჩეული მეტრიკი და როგორ გამოითვლება იგი, ასევე ველი რომელსაც შეხვდებით ორი ტიპისას: ციფრობრივი და სლაიდერი

მიზნების დაწესებისას სადაც პროცენტული მაჩვენებლების მითითება არის საჭირო მიზნის ველი არის სლაიდერის ტიპის. სლაიდერი გაწევა გამოწევით შესაძლებელია პროცენტის დარეგულირება. ხოლო ციფრობრივ ველში შესაძლებელია ჩვეულებრივ სასურველი ციფრის ხელით მითითება



ასევე მიზნის ჩაწერა უნდა შეიძლებოდეს ხელითაც პროცენტული მაჩვენებლების ველში პროცენტი არ უნდა იშლებოდეს

მიზანთან შედარება და შესაბამისი ჩარტები

მიზნობრივი KPI-ისთვის გვაქვს ორი ტიპის ჩარტი:

პროგრესს ბარ ჩარტი

პროგრეს ბარი მომხმარებელს უჩვენებს თუ რამდენი პროცენტით იქნა შესრულებული მის მიერ დადგენილი მიზანი

Radial Gauge ჩარტი

Radial Gauge ჩარტი მომხმარებელს უჩვენებს თუ რამდენი პროცენტი აქვს დადგენილი მომხმარებელს მიზნად, მინიმალურია თუ მაქსიმალური დადგენილი მიზანი და რამდენი პროცენტი ფიქსირდება ფაქტობრივი შესრულდება შესაბამისი KPI-ის.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ფასდაკლების პროცენტის ცვლილების ხარვეზი
- გასწორებულია ბანკის ამონაწერის შეტვირთვისას სესხის ხელშეკრულების ვალუტის მითითების ხარვეზი
- გასწორებულია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინების პრობლემა
- გასწორებულია რაოდენობრივ ძირითადზე ამორტიზაციის დარიცხვის ხარვეზი
- გასწორებულია სასაჩუქრე ბარათით გადახდისას შეტყობინების ხარვეზი
- გასწორებულია რეალიზაციის დოკუმენტის ექსელით შეტვირთვისას დამ. რეკვიზიტის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია ფასის კორექტირებისას არასწორი ბუღალტრული შედეგის ხარვეზი
- გასწორებულია გაცვლისას ნაშთების წამოღების ხარვეზი
- გასწორებულია მიწოდება კომპენსაციის გარეშე - დღგს გამოყოფის პრობლემა
- გასწორებულია სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციაში გადახდის ტიპების ხარვეზი
- გასწორებულია ნომენკლატურის ბარათზე დოკუმენტის ჩანართის გამოჩენის ხარვეზი
- გასწორებულია TBC-ის გაერთიანებულ აპარატთან ინტეგრაციისას ფისკალური მოწყობილობების ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- დაიხვეწა კადრების მოძრაობის დოკუმენტში ცხრილიდან გეგმიური დარიცხვა/დაკავების დასრულების ფუნქციონალი
- დაიხვეწა ბანკთან ინტეგრაციის დამუშავება
- დაიხვეწა ძირითადი საშუალების რეალიზაცია
- გამოტანილ იქნა საქონლის გადაადგილების და რეალიზაციის დოკუმენტში და მათ საბეჭდ ფორმაში შეფუთვა
- დაიხვეწა სათავო ფილიალთან ანგარიშსწორება
- დაემატა სათაო ფილიალის ექსელით შეტვირთვა მყიდველის ცნობარზე
- TBC-ის ფისკალურ ტერმინალთან (გაერთიანებული სალარო აპარატი და საბანკო ტერმინალი) ინტეგრაცია
- საკრედიტო ლიმიტების ფუნქციონალი მარდიში
- გეგმიური დარიცხვების დამუშავებაში კომენტარის მითითების შესაძლებლობა
- ამონაწერის ჩატვირთვის წესების ძიება საკუთარი საბანკო ანგარიშით
- საქონლის გადაადგილების დოკუმენტის შევსება ნაშთებით
- სხვა ფილიალების ნაშთების დანახვის შესაძლებლობას საცალო ინტერფეისში